ეროვნული ბიბლიოთეკა



კვირას ბაკურიანში გაიმართა ჩვენს რესპუბლიკაში პირველი საერთაშორისო ტურნირი ტრამპლინიდან ხტომაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე. ყველას აჯობა პერმის პედსასწავლებლის მოსწავლემ, 18 წლის ს. ზონტოვმა.

სურათებზე: მარცხნივ — გამარჯვებისთანავე თანაგუნდელებმა ზონტოვი ჰაერში ისროლეს; მარჯვნივ — შეჯიბრების მეორე პრიზიორი ი. კალინინი ასპარეზობისას.

მ. ზარგარიანის ფოტო. (ჩვენი სპეც. კორ.).

◆

(შეჯიბრების ანგარიში იხ. მე-3 გვ.).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 12 (4262)

1971 წ.
19 იანვარი.
სამშაბათი.
ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1984 წლის 18 აპრილიდან

სპორტის მოყვარულთათვის

ახალი წიგნები

კიევის „დინამო“! ამ შესანიშნავმა კოლექტივმა ზედიზედ 3 წლის მანძილზე არ დათმო სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება ფეხბურთში. სწორედ კიეველთა პოპულარულ გუნდს ეძღვნება „მოთხრობა ჩემპიონზე“, რომელიც გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტმა“ გამოუშვა. მისი ავტორი — კიეველი ჟურნალისტი მ. მიხაილოვი შესავალში წერს:

„კიევის „დინამოს“ თავისი არსებობის თითქმის პირველი დღიდანვე ჰქონდა რაღაც თავისებური, განუმეორებელი: ვაჟკაცობისა და რომანტიზმის, აზარტისა და გონებრივი ანალიზის, უდარდელობისა და სიახლის შეუპოვარი ძიების შერწყმა. შემთხვევითი როდია, რომ სწორედ ეს გუნდი მიიწვიეს გადასაღებად ფილმში „მეკარე“. მას შემდეგ, როცა კიევის დინამოელებზე ჩამოვარდება სიტყვა, ძველი გულშემატკივრები აუცილებლად დასძენენ ხოლმე: „აჰ, ის შავი კამეჩები!“.

ერთი სიტყვით, დასაწერი ბევრია, მით უმეტეს, რომ მე კიევის „დინამოს“ ბევრ მოთამაშესთან და მწვრთნელთან მეგობრობის მრავალი წელი მაკავშირებს“.

ამას გარდა, „ფიზკულტურა ი სპორტმა“ გამოსცა:

„ახალგაზრდა ფიზკულტურელის პირველი სკოლა (ოქტომბრელებისთვის)“. ეს წიგნი, რომელიც პროფესორმა ბ. იაკოვლევმა დაწერა, განკუთვნილია 7-9 წლის ბავშვებისთვის.

„მეათე სიმაღლე“. ეს გახლავთ მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა ჰოკეისტების მეათე გამარჯვებისადმი მიძღვნილი ნარკვევების კრებული. წიგნის შემდგენლებმა ვ. გავრილინმა და ო. სპასკიმ, გარდა ჟურნალისტებისა, ავტორებად მიიწვიეს სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. სტარშინოვი, რომელიც გვიამბობს თავის თანაგუნდელებზე, რსფსრ-ს დამსახურებული მწვრთნელი დ. ბოგინოვი, რომელიც ჩემპიონატის შედეგებს აანალიზებს.

„გასრესილი გიგანტები“. ამ წიგნში სპორტული ჟურნალისტი ლ. გორიანოვი გვიამბობს სპორტსმენებზე, რომლებმაც მსოფლიო გააოცეს ფენომენალური შედეგებით, დიდება მოუტანეს თავიანთ ქვეყნებს, და რომლებიც შემდეგ კაპიტალიზმის სამყარომ მოსპო, გასრისა.

ორწუთიანი ზღვარი გადალახულია!

დავოსი, 16 იანვარი. შვეიცარიის ამ აგარაკის საციგურაოზე გამართული საერთაშორისო შეჯიბრების მონაწილეები პირველ დღეს დამყარებული ორი მსოფლიო რეკორდით (1500 მეტრზე რბენაში — 2.15,8 — ჰოლანდიელმა ხტინ კაიზერმა და 3000-მეტრიან დისტანციაზე — 4.12,6 — კაიზერის თანამემამულე არდ სხენკმა) როდი დაკმაყოფილდნენ. შეჯიბრების მეორე დღეს სხენკმა ფენომენალურ შედეგს მიაღწია: 1500 მ 1 წუთსა და 58,7 წამში დაფარა. ამ გარბენის მეორე მონაწილემ — უწინდელი მსოფლიო რეკორდის (2.01,9) მფლობელმა კ. ფერკერკმა (ჰოლანდია) გამარჯვებულთან სულ 0,2 წამი წააგო. ამრიგად, საციგურაო სპორტის ისტორიაში ორწუთიანი ზღვარი ამ დისტანციაზე პირველადაა გადალახული და ისიც ორი სპორტსმენის მიერ.

1000 მეტრზე სწრაფრბენაში კაიზერმა საბჭოთა სპორტსმენის ლ. ვერჩინას მსოფლიო რეკორდი გაიმეორა — 1.29,0. მერე ჰოლანდიელმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა 3000-მეტრიან დისტანციაზე (4.46,5), მრავალჭიდში კი 182,817 ქულა დააგროვა, რაც აგრეთვე ახალი მსოფლიო რეკორდია.

საბოლოო ჯამში მცირე მრავალჭიდში სხენკმაც მსოფლიო რეკორდს მიაღწია — 168,478.

შეჯიბრების პირველ დღეს შესანიშნავად იასპარეზა ნორვეგიელმა ი. ერიკსენმაც: მან გაიმეორა კოლომნელი ვ. მურატოვის მსოფლიო რეკორდი 1000 მეტრზე რბენაში — 1.19,2.

500 მეტრზე ვაჟთა რბენაში პირველი იყო ერიკსენი — 39,1. მაგრამ ეს იყო „წმინდა სპრინტერების“ შეჯიბრებაში. საუკეთესო მაჩვენებელს მიაღწია სხენკმა — 38,9. სამაგიეროდ, სპრინტერებში, გამარჯვებულს გარდა კიდევ სამმა სპორტსმენმა გაირბინა ეს მანძილი 39,5 წამში და უფრო სწრაფად: ი. ბაზენმა (ჰოლანდია) — 39,2, ა. ჰერიიაუენემ — 39,4 და ა. სუნდემ (ორივე — ნორვეგია) — 39,5.

ერიკსენის ჯამი (157,510 ქულა) საუკეთესოა მსოფლიოში სპრინტერულ მრავალჭიდში (500 მეტრზე მეორე გარბენში — 39,16, 1000 მეტრზე მეორე გარბენში — 1.19,3).

რეკორდები

ტალინი, 16 იანვარი. სახელგანთქმულმა ესტონელმა ძალოსანმა ი. ტალტსმა (მძიმე წონა) მონაწილეობა მიიღო სატყეო, ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა აქ გამართულ XIX ზამთრის სპარტაკიადაში და შესანიშნავ წარმატებასაც მიაღწია: 201,5 კგ აჰიმა. ეს ნახევარი კილოგრამით აღემატება ამ ესტონელი გოლიათის მიერ დეკემბრის მიწურულს დამყარებულ მსოფლიო რეკორდს.

„სნეჟინკა“ ასახელებს გამარჯვებულებს

15-17 იანვარს მოსკოვის ახლოს მოეწყო ტრადიციული ავტორალი „სნეჟინკა“, რომელშიც გამარჯვება რიგის ტაქსომოტორების პარკის ავტოკლუბის გუნდს ხვდა, II ადგილზე აღმოჩნდნენ ლენინური კომკავშირის სახელობის საავტომობილო ქარხნის სპორტსმენები.

დათოვლილ ტრასებზე ორ დღე და ღამეს დაჰქროდნენ ავტორალის მონაწილენი, რომელთაც ამ ხნის განმავლობაში 2500 კმ დაფარეს. რბოლის საშუალო სიჩქარე საათში 50 კმ იყო. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 22 გუნდმა, ამასთან, აღიარებული ფავორიტების გარდა, როგორიც არიან მოსკოვის, რიგის, ლენინგრადის კოლექტივები, სტარტზე გამოვიდნენ სოჭის, კრასნოდარის, ვოლგოგრადის, იაროსლავლის სპორტსმენებიც.

დიდხანს ლიდერობდნენ ლენინური კომკავშირის სახელობის საავტომობილო ქარხნის წარმომადგენლები — ცნობილი მრბოლელები, ლონდონ — მეხიკოს გიგანტური მარათონის მონაწილენი, მძღოლი-გამომცდელები ვ. ბუბნოვი, ე. ლიფშიცი, ი. ასტაფიევი. მაგრამ ბოლო ეტაპზე რიგის ტაქსომოტორების პარკის ავტოკლუბის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, თუმცა ეს რთული, ღამის ეტაპი იყო.

მრბოლელებმა 17 იანვრის დილით დაამთავრეს ასპარეზობა ლუჟნიკის სპორტის სასახლის პირდაპირ.

მსაჯთა კოლეგია დიდხანს თათბირობდა და მხოლოდ საღამოსთვის გამოაცხადა გამარჯვებულის ვინაობა. რიგის ტაქსომოტორების პარკის ავტოკლუბის სახელით გამოდიოდნენ ბ. პუტანსი, უ. მადრევიცი, ი. გრაუდინში, ი. ცუკერმანი, ა. კრავალი და მხატვარი ა. ოზოლინში.

ახალი ამბები

● ბევერვიიკი, 16 იანვარი. ჰოლანდიის ამ ქალაქში მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო „ხოგოვენ-ტურნირის“ IV ტურში კორჩნოიმ დაამარცხა ნაიდორფი, ანდერსონმა — ვან დენ ბერგი, მეკინგმა — რეე, ლანგვეგმა — დონერი, ჰორტმა — კუიპერსი. ყაიმით დამთავრდა პარტიები: პეტროსიანი — ლენდიელი, ივკოვი — ოლაფსონი, ჰიუბნერი — გლიგორიჩი. ადრე გადადებულ პარტიაში რეემ სძლია ნაიდორფს. 4 ტურის შემდეგ 3-3 ქულით ლიდერობენ ფ. ოლაფსონი (ისლანდია) და უ. ანდერსონი (შვეცია).

● სიდნეი, 16 იანვარი. ავსტრალიის კორტებზე პირველი მარცხი იწვნია თბილისელმა ჩოგბურთელმა ა. მეტრეველმა: ახალი სამხრეთ უელსის შტატის ჩემპიონატის ნახევარფინალში მან დაძაბული ბრძოლის შემდეგ წააგო ავსტრალიელ ფ. დენტთან — 6:3, 6:7, 3:6, 4:6. მოსკოველმა ო. მოროზოვამ სძლია იაპონელ კ. სავამაცუს (6:3, 6:4) და ფინალში გავიდა, სადაც შეხვდება მ. კურტისა (ავსტრალია) და გ. შანფროს (საფრანგეთი) ნახევარფინალურ მატჩში გამარჯვებულს. კურტისა და მოროზოვას დუეტმა იოლად აჯობა ლ. ჰანტისა (ავსტრალია) და შანფროს წყვილს — 6:2, 6:2. გამარჯვებულები გადამწყვეტ მატჩში შეხვდებიან ავსტრალიელებს კ. ჰარისსა და ჰ. გურლეის.

● რიგა, 16 იანვარი. ადგილობრივ სპორტის სასახლეში დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში. დღეს გაიმართა ამ საინტერესო ასპარეზობის დასკვნითი ეტაპი — ქალთა ერთეულების სრიალი. ოქროს მედალი მოიხვეჭა მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა მ. ტიტოვამ („სპარტაკი“), რომელმაც 1959,1 ქულა დააგროვა (ადგილების ჯამი — 12). სსრ კავშირის შარშანდელმა ჩემპიონმა, ლენინგრადელმა ე. ალექსანდროვამ („ბურევესტნიკი“) II ადგილი დაიკავა — 1932,4 (15). ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა მოსკოველმა ე. ქოტოვამ („სპარტაკი“) — 1925,3 (15).

● ალმა-ათა, 16 იანვარი. ციგურებით სწრაფრბენაში სსრ კავშირის თასების პირველი მფლობელნი გახდნენ კოლომნელი ვ. მურატოვი და კიროველი ა. ჩეკულაევი. მურატოვმა ყველას აჯობა სპრინტერებში — მრავალჭიდის ჯამში მან 165,050 ქულა დააგროვა. ჩეკულაევი საუკეთესო იყო კლასიკურ მრავალჭიდში — 182,218. ქალთა შორის თასებს დაეუფლნენ ევროპის ჩემპიონი, ლენინგრადელი ნ. სტატკევიჩი (მან ყველას აჯობა მრავალჭიდში — 185,833 ქულა) და სპრინტერთა შორის მოასპარეზე ვ. კრასნოვა (ომსკი) — 185,700. ლენინგრადელმა კ. სერიოგინამ ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა 3000 მეტრზე რბენაში — 4.52,4.

● ლენინგრადი, 16 იანვარი. აქ გაიმართა მძლეოსანთა შეჯიბრება ზამთრის სტადიონის პრიზზე. ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია მსოფლიო რეკორდსმენმა ბირთვის კვრაში, ადგილობრივმა სპორტსმენმა ნ. ჩიჟოვამ. მან 2 სანტიმეტრით გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო მიღწევა დახურული შენობებისთვის. ახალი მიღწევაა 18,62 მ.

● ჩელიაბინსკი. 16 იანვარი. აქ დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირი. დასკვნით, XIII ტურში ტურნირის ლიდერმა — მოსკოველმა ე. რუბცოვამ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა თანაქალაქელ ო. იგნატიევასთან და 9,5 ქულით I ადგილი დაიკავა. კვალში მიმყოლმა კ. სკეგინამ გ. ვინოკუროვასთან (ორივე — სსრ კავშირი) ყაიმით 9 ქულა მოაგროვა და II ადგილზე გავიდა. III-IV ადგილები გაიყვეს იგნატიევამ და რ. ბილუნოვამ (ორივე — სსრ კავშირი). V ადგილი ხვდა ფსკოველ თ. ბელოვას — 8, VI — ჩეხოსლოვაკიელ კ. ერეტოვას — 7. 6,5-6,5 ქულა მოაგროვეს ქ. რაძიკოვსკამ (პოლონეთი) და ე. კარაკაშმა (უნგრეთი). IX ადგილი დაიკავა ვოლგოგრადელმა ლ. ლიუბარსკაიამ — 6, X — მ. ჟუნკუმ (რუმინეთი) — 5. 4,5-4,5 ქულა მოაგროვეს ომსკელმა ვ. კისლოვამ, ვინოკუროვამ და ვ. შიკოვამ (ბულგარეთი). XIII ადგილზეა 16 წლის ბ. ჰოფმანი (გდრ).

ახალი ამბები

[illegible]

ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედი — სპარტაკიადებისთვის მზადება

СПАРТАКИАДА
V НАРОДОВ
СССР

V სპარტაკიადა
1971

მიზანი — მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადება

ცნობილია, რომ სპორტსმენი მხოლოდ მაშინ აღწევს სტაბილურად მაღალ შედეგებს, როცა წვრთნასთან ერთად ზუსტად იცავს ჰიგიენურ რეჟიმს და სისტემატურად საექიმო კონტროლის ქვეშ იმყოფება.

მაღალი კლასის სპორტსმენებისთვის, ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების გარდა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბრძოლისთვის ფსიქოლოგიურ მზადყოფნასაც. ფსიქოლოგიური მომზადების დროს აუცილებელია ეგრეთ წოდებული „ობიექტური“ (სპორტული ტექნიკის) და „სუბიექტური“ (მძიმე ემოციური მდგომარეობის) წინააღმდეგობათა გადალახვა, რაც სპეციალური ვარჯიშების მრავალგზის შესრულებით მიიღწევა.

დღეს სადავო არ არის, რომ ფიზიკური ვარჯიშის დროს საჭიროა გატარდეს თანამედროვე წვრთნის ძირითადი პრინციპები. ამ პრინციპების მიხედვით უნდა ხდებოდეს ისეთი პედაგოგიური კანონების დაცვა, როგორიცაა: „იოლიდან — რთულისკენ“, „ცნობილიდან — უცნობისკენ“ და „ათვისებულიდან — აუთვისებლისკენ“. ყოველივე ამას ჩვენ კიდევ დავუმატებთ კანონს — „რთულიდან — ურთულესისკენ“, ვინაიდან უამისოდ შეუძლებელია ექსტრა-კლასის სპორტსმენთა მომზადება.

წვრთნის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თითოეული სპორტსმენისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპის დაცვას, რასაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრი მწვრთნელი და ექიმი არ უთმობს ჯეროვან ყურადღებას.

ექიმსა და მწვრთნელს განსაკუთრებით უნდა ახსოვდეთ, რომ წვრთნისა და შეჯიბრების პროცესში შედარებითი სიზუსტით ხდება სპორტსმენის ორგანიზმის ყველა შესაძლებლობის (შრომის უნარის, ტექნიკური მომზადების და ა. შ.) დადგენა და აღნიშნულის მიხედვით საწვრთნელი მეცადინეობის შემდგომი დაგეგმვა.

ამ საკითხის განხილვის დროს საჭიროა მიახლოებით განვსაზღვროთ, როგორ თვისებებს (ბუნებას) ავლენს სპორტსმენი კუნთური მუშაობის დროს — დაახლოებით მაინც დავადგინოთ, რომელ ნერვულ ტიპს მიეკუთვნება იგი.

თუ მწვრთნელსა და ექიმს არ ესმით აღნიშნული საკითხის მნიშვნელობა, სპორტსმენთა მომზადებაში უხეში შეცდომებია მოსალოდნელი. მაგალითად, მწვრთნელმა შესაძლოა სპორტსმენს უსწოროდ შეუცვალოს თამაშის ადგილი, ან რომელიმე რთული მოძრაობითი ელემენტის ათვისება არასასურველი მეთოდით აიძულოს.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ბრაზილიის ფეხბურთელთა მწვრთნელებმა ბევრი რამ არ იციან წვრთნის მეცნიერულ საფუძველზე. ისინი ფეხბურთელებს საშუალებას აძლევენ ინდივიდუალური ვარჯიშის საფუძველზე მაქსიმალურად განავითარონ ყველა ფიზიკური და ტექნიკური შესაძლებლობა, რის შედეგადაც შედარებით ადვილი ხდება კოლექტიური თამაში მაღალ დონეზე. მაგრამ იმისთვის, რომ სპორტსმენმა შეძლოს ფიზიკურად და ტექნიკურად კარგად მომზადება, საკმარისი არ არის ვარჯიშები, რომელთაც იგი გეგმით გათვალისწინებული საწვრთნელი მეცადინეობის პროცესში გადის. დაკვირვებები მოწმობს, რომ სპორტსმენებს, რომლებიც ამხანაგებისგან განსაკუთრებული ტექნიკური ან კიდევ რაიმე უჩვეულო ტაქტიკური მოსაზრებულობით გამოირჩევიან, ესა თუ ის ილეთი, მოძრაობითი ჩვევა დამუშავებული აქვთ ზედმეტად ჩატარებული ინდივიდუალური ვარჯიშების წყალობით. ნათქვამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითები ა. ღოლობერიძის, მ. მესხის, ბ. სარქისოვის, ლ. ინწკირველისა და სხვა გამოჩენილი სპორტსმენების ცხოვრებიდან (როცა ისინი დაუღალავი შრომით მაღალ ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებასთან ერთად გამოიმუშავებდნენ მეტად რთულ მოძრაობით ელემენტებს).

ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ზოგიერთი სპეციალისტი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ ბრაზილიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდებში თამაშობდნენ ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელები, რამაც განაპირობა მათი ბრწყინვალე გამოსვლა. ეს მართლაც ასეა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ამ ფეხბურთელებმა ვირტუოზობას მიაღწიეს განსაკუთრებით დაძაბული შრომისა და მეტად მკაცრი ჰიგიენური რეჟიმის დაცვით. ნიჭიერი ფეხბურთელები, რა თქმა უნდა, ყველა ქვეყანაში მოიძებნებიან, მაგრამ მათგან მწვრთნელმაც და ექიმმაც დიდი შრომა უნდა გასწიონ. სამწუხაროდ, ჩვენში იშვიათად ხდება ასე.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ წვრთნის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სპორტსმენთა ფსიქოლოგიურ მომზადებას. მეცნიერები მოგვიწოდებენ ფსიქოლოგებთან მჭიდრო კონტაქტს. ეს, რა თქმა უნდა, სწორია, მაგრამ სადღეისოდ შესაძლოა ასეთი კონტაქტი მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში იქნეს განხორციელებული, ისიც ზოგიერთი სპორტსმენის მიმართ და არა მასობრივად. სპორტსმენთა ფსიქოლოგიური მომზადება ძირითადად თვით მწვრთნელის საქმეა. უპირველესად მან უნდა დაარწმუნოს სპორტსმენი თავის ძალაში, გაუქროს შიში და სხვ. მსგავსი მუშაობა ჩვენში ტარდება, მაგრამ პერიოდულად, რაც საკმარისი არ არის.

როცა დიდ სპორტზე ვლაპარაკობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ იგი სპორტული მედიცინის გარეშე წარმოუდგენელია. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გრანდიოზულ სპორტულ წარმატებებს ბოლო წლებში ამ ქვეყანაში სპორტული მედიცინის განვითარებას უკავშირებენ.

მიუხედავად იმისა, რომ წვრთნის პროცესში სპორტსმენის ორგანიზმის ცალკეული ფიზიოლოგიური სისტემების ფუნქციურ მაჩვენებელთა რეაქციების შესწავლას წვრთნის მეთოდიკის დაზუსტების თვალსაზრისით სათანადო მნიშვნელობა აქვს, ექიმები და მწვრთნელები იშვიათად უთმობენ ამას სათანადო ყურადღებას.

ექიმმა სპორტსმენის ფორმის მდგომარეობის შემოწმების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს წვრთნისა და შეჯიბრების შემდეგ აღდგენის, ანუ დასვენების პერიოდზე დაკვირვებას.

სპორტსმენთა საექიმო შემოწმების შემთხვევაში საჭიროა გავითვალისწინოთ ერთი მეტად მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც სპორტსმენის ორგანოთა სისტემების ფუნქციური შესაძლებლობისა და ფუნქციური მდგომარეობის სწორ შეფასებას ეხება.

ი. ბ. სტალინი თავის შრომაში „სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში“ აღნიშნავდა, რომ „არ შეიძლება ერთმანეთში ავურიოთ შესაძლებლობა და სინამდვილე. ეს ორი სხვადასხვა რამ არის. ეს შესაძლებლობა სინამდვილედ რომ გადავაქციოთ, საჭიროა შევისწავლოთ, დავეუფლოთ მას, საჭიროა ვისწავლოთ მისი გამოყენება...“

ამ მნიშვნელოვან დებულებას შეიძლება დავუკავშიროთ ფუნქციური დიაგნოსტიკის მთელი რიგი საკითხები. მაგალითად, ექიმმა და მწვრთნელმა უნდა იცოდნენ, რომ სპორტსმენს შეიძლება ჰქონდეს ფილტვების სასიცოცხლო ტევადობის მაღალი მაჩვენებელი, მაგრამ მისი სასუნთქი აპარატი არ იყოს გაწვრთნილი და პირიქით. ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა წარმოადგენს სუნთქვის აპარატის ფუნქციური შესაძლებლობის მაჩვენებელს და მის სიდიდეს მხოლოდ მაშინ აქვს დიაგნოსტიკური მნიშვნელობა, როცა იგი კორელაციურ კავშირშია სპორტსმენის მაღალ შრომისუნარიანობასთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საექიმო შემოწმების შედეგად მიღებული მაღალი ფუნქციური მაჩვენებლები სრულიადაც არ ნიშნავს, რომ სპორტსმენი მაღალ სპორტულ შედეგებს აღწევს. ორგანიზმის მაღალი ფუნქციური მაჩვენებლები მუდამ სპორტულ შედეგებთან ერთად უნდა განიხილებოდეს, ხოლო ამ უკანასკნელის მიღწევა მხოლოდ და მხოლოდ დაძაბული წვრთნით შეიძლება.

წვრთნის პროცესში არ უნდა მოხდეს სპორტსმენის „გადაწვრთნა“ (გადაღლა), რამაც შესაძლოა ეგრეთ წოდებული სპორტული პათოლოგიის ან პათოლოგიისწინა მდგომარეობა განავითაროს, განსაკუთრებით, შინაგანი ორგანოების (გულის, ფილტვების, თირკმელების და სხვ.) და ნერვული სისტემის მხრივ.

ცნობილია, რომ XVI ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების პერიოდში საბჭოთა ქვეყნის ნაკრებ გუნდებში შემავალ სპორტსმენთა 35 პროცენტს ესაჭიროებოდა სხვადასხვა სახის მკურნალობა, ხოლო 1964 წლის ოლიმპიური თამაშების მონაწილეთა შორის 37,2 პროცენტს აღენიშნებოდა სხვადასხვა სახის გადახრა. საიდუმლო არ არის ისიც, რომ მაღალკვალიფიციური სპორტსმენები არც ისე იშვიათად ავადდებიან, ამიტომ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე სისტემატური საექიმო კონტროლი სპორტული მედიცინის დარგში მომუშავე სამედიცინო პერსონალის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს.

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ მაღალი კლასის სპორტსმენთა მოსამზადებლად საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მწვრთნელებისა და ექიმების ერთობლივ მუშაობას. უამისოდ დიდ სპორტში მაღალ შედეგებს მხოლოდ ეპიზოდური ხასიათი ექნება.

რ. სვანიშვილი,
რესპუბლიკის საექიმო-ფიზკულტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

მომავალ მსახიობთა გამარჯვება

დამთავრდა თბილისის კალინინის სახელობის რაიონის სპარტაკიადა, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის 50 წლისთავს მიეძღვნა.

საერთო გუნდური პირველობა მოიპოვეს შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებმა. II ადგილზეა საქართველოს მძიმე მრეწველობის საპროექტო ინსტიტუტის ნაკრები, III — საქართველოს სახელმწიფო ბანკის კოლექტივი.

ი. ხაბეიშვილი.

სიღნაღის ავტო-მოტოკლუბმა, რომელსაც მ. ჯანაშვილი ხელმძღვანელობს, შარშანდელი სეზონი კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა — სპორტის ტექნიკური სახეობების რესპუბლიკურ სპარტაკიადაში ავტომრავალჭიდში II, ხოლო მოტოსპორტსა და კარტინგებით რბოლაში III ადგილები დაისაკუთრა.

მოტოკლუბში ტექნიკურ სახეობებს ყოველწლიურად ათასამდე კაცი ეუფლება. ძლიერი სპორტსმენებიც ჰყავთ. მაგალითად, ა. გულიდოვი მოტოკროსში რესპუბლიკური ნაკრების წევრია.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — მოტოკლუბის მასწავლებელი ვ. კოშლამაზაშვილი და მოსწავლე ჯ. ბოკოლიშვილი სასწავლო ოთახში; მარჯვნივ — მოტოკლუბის აღზრდილი გ. მუკტარშინა ვარჯიშის დროს.

ვ. ბუკინის ტექსტი და ფოტო.
(ჩვენი სპეც. კორ.).

უძლიერესები — ა. ივანოვა და გ. ახალაძე

თბილისში დამთავრდა საქართველოს უძლიერეს ჩოგბურთელთა ზამთრის პირველობა. შეჯიბრების დასკვნითი ნაწილი ფინალურმა ოთხეულებმა წრიული სისტემით გაითამაშეს.

ქალებში დამაჯერებლად გაიმარჯვა თბილისელმა ივანოვამ. მან იოლად დაამარცხა სამივე თანაქალაქელი მეტოქე: ჯერ მგალობლიშვილი (6:0, 6:0), მერე პაპაიანი (6:4, 6:1), ბოლოს — თუხარელი (6:4, 6:3).

თუხარელმა ორი დანარჩენი შეხვედრა კარგად ჩაატარა და II ადგილი დაიკავა. მან გაიმარჯვა მგალობლიშვილთან (6:1, 6:2) და პაპაიანთან (6:2, 6:3). III ადგილზეა მგალობლიშვილი, რომელმაც ერთადერთი შეხვედრა მოუგო პაპაიანს — 5:7, 6:2, 6:4.

პაპაიანი IV ადგილს დასჯერდა.

ვაჟებში პირველობა დაისაკუთრა ახალაძემ. მანაც სამივე მეტოქე — პ. აბაშკინი (6:1, 6:2), სენჩუროვი (6:0, 6:2) და ოსიპოვი (6:3, 6:1) „იმსხვერპლა“. ისევე, როგორც ივანოვა, ახალაძეც მთელი თავით მაღლა იდგა მეტოქეებზე.

II ადგილი წილად ხვდა სენჩუროვს, რომელმაც სძლია აბაშკინსა (6:2, 6:2) და ოსიპოვს (6:2, 6:3, 6:3).

III ადგილი აბაშკინმა ოსიპოვთან ერთადერთი მოგების (15:13, 6:1) წყალობით გაინაღდა.

ოსიპოვი IV ადგილზე დარჩა.

მართალია, კორტებზე ვერ ვიხილეთ ა. მეტრეველი და თ. კაკულია, ვაჟთა შეჯიბრება მაინც მიმზიდველი გამოდგა.

მსაჯთა კოლეგია მოწოდების სიმაღლეზე იდგა (მთავარი მსაჯი გ. თოხაძე) და შეჯიბრებაც ორგანიზებულად ჩატარდა.

გ. ირინაული.

ჩოგბურთი

[illegible]

ფოთი

სსრ კავშირის ჩემპიონი და რეკორდსმენი, საერთაშორისო შეჯიბრებებში გამარჯვებული, სპორტის ოსტატი სახანძრო-გამოყენებით სპორტში გ. ბუკია 1970 წლის შედეგების მიხედვით დაასახელეს ფოთის პირველ სპორტსმენად. ეს გამოირკვა ტრადიციული გამოკითხვის შემდეგ, რომელიც საქალაქო გაზეთმა „ახალმა კოლხეთმა“ მოაწყო. უძლიერესთა ხუთეულში მოხვდნენ: ლ. ფარცვანია (მძლეოსნობა), დ. გეფერიძე (ხელბურთი), ნ. ჩარაევი, ნ. ლუცენკო (ორივე — ნიჩბოსნობა).

გ. ბასილაია.

კასპი

მე-3 საშუალო სკოლის სპორტულ დარბაზში ჩატარდა კალათბურთელთა ტურნირი. გოგონებში I ადგილი კასპის მე-2 საშუალო სკოლის გუნდმა დაიკავა, ვაჟებში კი უძლიერესი იყო სკოლა-ინტერნატის კოლექტივი.

ლ. ელისაბედაშვილი.

ჩვეულებრივი დასაწყისი და არაჩვეულებრივი დასასრული

ყველაფერი ჩვეულებრივად დაიწყო: საქართველოში ტრამპლინიდან მხტომელთა პირველი საერთაშორისო ტურნირის მონაწილეებს, რომლებსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზისთვის უნდა ებრძოლათ, ასპარეზობის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, შრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ი. ურუშაძე მიესალმა. შემდეგ რესპუბლიკის საუკეთესო სათხილამურეებმა შეჯიბრებაში მონაწილე ქვეყნების — გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, ავსტრიის, ფინეთისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით ჩაიქროლეს დაშვების ბაქანზე და ტურნირმაც სტარტი აიღო. ეს ყველაფერი და მთელი ასპარეზობა სარბიელზე შეკრებილმა 10 ათასზე მეტმა გულშემატკივარმა ნახა. მაგრამ ბევრმა მათგანმაც არ იცის წინადღით გამართული საცდელი ხტომების შედეგები, უცხოელი სტუმრების აზრი ბაკურიანზე, ტრამპლინზე...

... სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის ტრამპლინიდან ხტომის მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარემ ჰ. ფუქსმა (შვეიცარია) ყველა სტუმრის აზრი გამოხატა, როდა ბაკურიანის ტრამპლინს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სპორტული ნაგებობა უწოდა. კოხტაგორის წვერიდან ხელისგულზე გადაშლილი პანორამის ხილვის შემდეგ მან აღტაცება ვერ დამალა და თქვა: მე ვიქნები ერთ-ერთი პირველი მომხრე, რომ საქართველოში საერთაშორისო ტურნირები ყოველ წელიწადს ჩატარდეს.

ფუქსს არ დაზარებია ფეხით მოევლო ტრამპლინის ყველა უბანი. მან შენიშნა, რომ ამ საუცხოო ნაგებობას ზოგი ხარვეზი მაინც აქვს, თუმცა ეს მეორეხარისხოვანი ამბავია და ხვალინდელ შედეგებზე გავლენას ვერ მოახდენსო. ამ აზრის გამოთქმის საფუძველს ფუქსს აძლევდა შაბათს გამართული ბოლო ვარჯიში, როცა მომავალი ბატალიების მონაწილეები კარგად გამოვიდნენ. სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი, დეკემბერში ფინეთის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული, 17 წლის ი. კალინინი ამ ვარჯიშის დროს 109,5 მეტრზე გადახტა. ამ წინასწარი შემოწმებით ყველა კმაყოფილი იყო სსრ კავშირის თასის გათამაშებაში გამარჯვებულ კ. წაქაძის გარდა: მას თხილამური გაუტყდა. ახლების გაწყობა კი საკმარის დროს მოითხოვდა.

სპორტსმენები კარგ გუნებაზე იმიტომაც იყვნენ, რომ მანქანებით მოზიდული თოვლითა და ნახერხით მოწყობილ სარბიელზე (ამ საქმეში მათ ძალიან დაეხმარნენ ბორჯომის რაიონის ხელმძღვანელები) არ მოუხდებოდათ ბრძოლა: ორი დღის წინ თოვა დაიწყო.

შეჯიბრების ორგანიზატორებს (მთავარი მსაჯი — საკავშირო კატეგორიის მსაჯი ლ. გიორგაძე), საქართველოს სათხილამურო სპორტის ფედერაციას, ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის ბაზის თანამშრომლებს ძალ-ღონე არ დაუზოგავთ ასპარეზობისთვის სათანადო პირობების შესაქმნელად. ეს ზრუნვა სპორტსმენებმა დააფასეს კიდეც — უჩვეულოდ მაღალი შედეგები აჩვენეს.

სარბიელზე 44 სპორტსმენი გამოვიდა, რომელთა შორის იყვნენ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გ. ნაპალკოვი, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები ვ. ბელოუსოვი, ი. რაშკა (ჩეხოსლოვაკია), დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში გამარჯვებულნი: ა. ჟეგლანოვი, ა. ივანიკოვი, მ. ვერეტენიკოვი, კ. წაქაძე, ჰ. შმიდტი, თ. ვებერი, დ. აშენბახი (ყველა — გდრ), ლ. დივილა, ბ. ნოვაკი (ორივე — ჩეხოსლოვაკია), ჰ. ვინკლერი, მ. გოლზერი, რ. ბახლერი, ვ. კრიოლი (ყველა — ავსტრია), კ. ნიმანი, ე. პუკა (ორივე — ფინეთი), ი. ბენეკი, ლ. ნადარკევიჩი (ორივე — პოლონეთი), რომელთაც თავიანთი ტიტულები ახალგაზრდებთან ბრძოლაში უნდა დაეცვათ.

მსაჯთა კოლეგიამ მონაწილეებს პირველად ძალის მოსინჯვის უფლება მისცა, მეორე და მესამე ცდები კი ჩასათვლელი იყო.

საცდელ ხტომაში ყველას აჯობა სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრმა, პერმის მე-3 პედსასწავლებლის მეორეკურსელმა, 18 წლის ს. ზონტოვმა — 103,5 მ. წაქაძეს მეორე შედეგი (102 მ) ჰქონდა, შმიდტი და კალინინი 101,5 მეტრზე გადახტნენ.

როცა სპორტსმენებმა პირველი ჩასათვლელი ნახტომები შეასრულეს, ლიდერობა ხელთ იგდო კალინინმა. 17 წლის ჭაბუკი 104 მეტრზე გადახტა, რაც მსაჯებმა 117,5 ქულით შეაფასეს. კალინინი 2 ქულას უგებდა თანაგუნდელ ვ. სმირნოვს (103,5 მ), 2,5 ქულას — რაშკასა (102,5 მ) და ჟეგლანოვს (101,5 მ). ზონტოვიც 104 მეტრზე გადახტა, მაგრამ ლიდერს სტილში ჩამორჩა — 114,5 ქულა დაიმსახურა.

უძლიერესთა ათეულში მოხვდნენ, აგრეთვე, ბახლერი (102 მ; 113,5 ქულა), აშენბახი (102,5; 112), ნოვაკი (101,5; 112), დივილა (101,5; 111,5). წაქაძემ ახლაც 102 მ დაძლია, მაგრამ სტილში მხოლოდ 110 ქულა მიიღო.

ამრიგად, მეორე გადამწყვეტი სერიის წინ კალინინს მეტოქეებთან შედარებით მორალური და მატერიალური უპირატესობა ჰქონდა. მაგრამ ახალგაზრდა სპორტსმენმა კარგად იცოდა, რომ მთავარი წინ იყო. 500-საფეხურიანი კიბით იგი დინჯად ადიოდა ზევით, დაქანების ბაქნისკენ.

ვინც კალინინამდე აიღო სტარტი, თითქმის ყველამ გააუმჯობესა შედეგები, მაგრამ ლიდერს საფრთხეს ვერავინ უქმნიდა: კალინინის მთავარი მეტოქენი მის შემდეგ ხტებოდნენ და ამიტომ ლიდერს სწორედ მათი მაჩვენებლები უნდა გაეთვალისწინებინა. ეს მან თითქმის შეძლო კიდეც და 108 მეტრზე გადახტა (ტრამპლინის რეკორდის გამეორება) — ორი ნახტომის ჯამში 241,5 ქულა დაუგროვდა, რაც უკვე გამარჯვებას უდრიდა. სპორტსმენი კმაყოფილი იყო, მაგრამ სარბიელს არ შორდებოდა: მაყურებლებში გადასახლებული, ბრძოლას თვალს არ აშორებდა.

მოთხილამურენი ზედიზედ ხტებოდნენ. შედეგები საუკეთესო იყო. სმირნოვმა 103 მ დაძლია და 231,5 ქულა დააგროვა. დივილას მეორე ცდა იდეალური გამოდგა. შესანიშნავი არეკნი, ფრენი, რომელსაც ოდნავი რხევაც კი არ ეტყობოდა. მაყურებლებმა ხმამაღალი შეძახილებით გამოხატეს მოწონება, მაგრამ სპორტსმენი რამდენიმე მეტრის შემდეგ დაეცა და 110-მეტრიანი ნახტომი მხოლოდ 93 ქულით შეფასდა. ივანიკოვმა 106,5 მეტრზე იფრინა, შმიდტმა და ნოვაკმა — 107 მეტრზე... კალინინს ვერც იუნიორთა შორის კონტინენტის ჩემპიონმა აშენბახმა აჯობა, ვერც ნაპალკოვმა, ვერც ბელოუსოვმა. მხოლოდ რაშკა მიუახლოვდა მის შედეგს — 234,5 ქულა დააგროვა...

და მაშინ, როცა კალინინს საქმე მართლა საზეიმოდ ჰქონდა, ზონტოვმა ყველაფერი შეცვალა.

... ტრამპლინზე დაშვების ბაქანი წინასწარ მხოლოდ 112 მეტრამდე იყო გაზომილი. ყველაზე გამოცდილი მსაჯებიც კი ვერ იფიქრებდნენ, რომ ამ ტურნირში ვინმე უფრო შორს გადახტებოდა. ამიტომ, როცა ზონტოვმა ბოლო ცდა შეასრულა, მისი ნახტომის სიგრძე დროულად ვერ განსაზღვრეს. დამატებით გაზომვის შემდეგ ფენომენალური შედეგის მოწმენი გავხდით — 115,5 მ (ტრამპლინის რეკორდი!) მსაჯებმა ეს შედეგი 130 ქულით შეაფასეს.

ტაში დიდხანს არ წყდებოდა. ეტყობა, ასეთ დიდ წარმატებას არც სპორტსმენი ელოდა და არც მისი მწვრთნელი ლ. ჟიგალოვი. ისინი ერთხანს გაოგნებული იდგნენ, მერე კი, როცა შეჯიბრება დამთავრდა და დიქტორმა ზონტოვს გამარჯვება და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზის მოპოვება მიულოცა, დიდხანს ეხვეოდნენ ერთმანეთს. 18 წლის ჭაბუკი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატიც გახდა. მას გადაეცა საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის სპეციალური პრიზიც — ყველაზე გრძელი ნახტომისთვის.

შეჯიბრების მონაწილეებისთვის სპეციალური პრიზები დააწესეს, აგრეთვე, საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, თბილისის ფიზკულტურის კომიტეტმა, კომკავშირის ბორჯომის რაიკომმა, ბორჯომის შუშის ქარხანამ, ახალდაბის საავეჯო ფაბრიკამ, გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციამ...

აი, ტურნირის საუკეთესო ათეული: ზონტოვი — 244,5 ქულა, კალინინი — 241,5, რაშკა — 232,5, ჟეგლანოვი — 231,5, სმირნოვი — 231, ნოვაკი — 229, ბახლერი — 229, ბელოუსოვი — 227, ივანიკოვი — 226, წაქაძე — 222,5 (მისი ბოლო ნახტომიც 102 მ იყო).

ო. ბელაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ბაკურიანი.

ს უ რ ა თ ზ ე: ტრამპლინის ხედი. მ. ზარგარიანის ფოტო.

6 ტურის შემდეგ

გორი, 18 იანვარი. გუშინწინ სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. ქარსელაძის მემორიალში შედგა გადადებული პარტიების დამთავრება.

ლ. შტეინი (კიევი) თამაშის განუახლებლად დანებდა მ. პოდგაეცს (ოდესა). სამაგიეროდ, შტეინს დანებდა რ. ჯინჯიხაშვილი, რომელმაც ბრძოლის გაგრძელებისას მხოლოდ ორი სვლა გააკეთა. თბილისელმა ოსტატმა ვ. სავონთან (ხარკოვი) გადადებული პარტიაც წააგო. მერე სავონი შეუდგა ს. ფურმანთან (ლენინგრადი) თამაშს. ეს შეხვედრა ყაიმით დასრულდა.

ბ. გურგენიძე — ა. გაგუას პარტია ლაზიერების ენდშპილში იყო გადადებული. დიდოსტატს ზედმეტი პაიკი ჰქონდა, მაგრამ უპირატესობის რეალიზება შეუძლებელი აღმოჩნდა და მეტოქენი დაზავდნენ. ასევე დამთავრდა ა. ბოკუჩავა — ი. პლატონოვის (კიევი) პარტიაც.

ამ დღეს ყაიმით დასრულდა ზ. მიქაძე — პოდგაეცის შეხვედრა, რომელიც 11 ტურში იყო გამოტოვებული. ამ პარტიის გამო ბოკუჩავასა და გუფელდთან მიქაძის გადადებულ პარტიებში ბრძოლა არ განახლებულა. არ გათამაშებულა, აგრეთვე, პლატონოვ—გურგენიძის შეხვედრა.

6 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: ს. ფურმანი — 4,5 ქულა, ე. გუფელდი — 4 ქულა და 1 გადადებული პარტია, ვ. სავონი — 4, ბ. გურგენიძე — 3,5 (1), ლ. შტეინი, რ. ჯინჯიხაშვილი — 3,5-3,5, ი. პლატონოვი — 3 (1), მ. პოდგაეცი — 3, ე. უბილავა — 2,5, ა. ბოკუჩავა, ზ. მიქაძე — 2-2 ქულა და 2-2 გადადებული პარტია, ნ. ალექსანდრია — 2, ა. გაგუა — 1,5, გ. კუთარაშვილი — 0.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

● ●

ეს ერთი და სხვა მრავალი...

ასე თქვეს მასპინძლებმა.

ასეთი იყო სტუმრების სურვილიც.

ხუთი დიდოსტატი ერთად! — აღარას ვამბობთ ათამდე ოსტატზე, რომელთა ჯგუფსაც თვით ნანა ალექსანდრია ამშვენებდა.

მხიარულება იყო ქარელში, სადაც, გულახდილად უნდა ითქვას, მაინცდამაინც განებივრებული არ არიან საყვარელი სპორტსმენების ხილვით.

ალბათ ამიტომ იყო, რომ ვ. ქარსელაძის მემორიალის მონაწილეებმა სიამოვნებით მიიღეს რაიონის შრომელთა მიწვევა და გასულ შაბათს — ტურისგან თავისუფალ დღეს — გორიდან გეზი ქარელისკენ აიღეს.

შეხვედრა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა კომკავშირის ქარელის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. ნინიძემ.

მასპინძელთაგან გულთბილი სიტყვები წარმოთქვეს ადგილობრივი პიონერთა სახლის დირექტორმა ა. შალუტაშვილმა და მე-2 საშუალო სკოლის მეათეკლასელმა, ჭადრაკში რაიონის ჩემპიონმა მოსწავლეთა შორის ლ. გოგოლაძემ.

მემორიალის მთავარმა მსაჯმა ლ. წეროძემ დამსწრეებს გააცნო მონაწილეთა სატურნირო მდგომარეობა, ილაპარაკა ბრძოლის პერიპეტიებზე.

საინტერესო იყო დიდოსტატების ბ. გურგენიძისა და ე. გუფელდის, აგრეთვე, ნ. ალექსანდრიას გამოსვლები.

ოფიციალური ნაწილის შემდეგ დაიწყო ბლიც-ტურნირი 12 მონაწილის შემადგენლობით და ეგრეთ წოდებული ალტერნატიული ერთდროული თამაშის სეანსი 14 დაფაზე, რომელსაც დიდოსტატები ს. ფურმანი და ი. პლატონოვი ატარებდნენ.

ამ დღეს გამარჯვებულთა შორის იყვნენ კიეველი ლ. შტეინი, ხარკოველი ვ. სავონი, ოდესელი მ. პოდგაეცი და... ქარელელი შ. კრიხელი. პირველმა სამმა ამავე თანმიმდევრობით გაიმარჯვა ბლიც-ტურნირში. „საქხილბოსტნის“ დამზადების ქარელის კონტორის მუშა შ. კრიხელი ერთადერთი აღმოჩნდა, რომელმაც მოიგო პარტია ერთდროული თამაშის სეანსში. დანარჩენი შეხვედრები დიდოსტატების გამარჯვებით დამთავრდა. გამარჯვებულებსა და ნ. ალექსანდრიას, როგორც ამ საინტერესო ღონისძიების მონაწილე ერთადერთ ქალს, საზეიმოდ გადაეცათ სამახსოვრო პრიზები.

... ავტობუსი გორის უღელტეხილზე დაეშვა. ბუხუტი გურგენიძემ ქართული სიმღერა წამოიწყო, ლეონიდ შტეინი „სტენკა რაზინს“ ღიღინებდა, ხოლო გორელი მოჭადრაკე შ. თოთლაძე ნეაპოლიტანურ სიმღერას გვთავაზობდა მთელის ხმით.

გულუხვ მასპინძლებს ეს „თვითმოქმედება ბორბლებზე“, ცხადია, არ ესმოდათ. მაგრამ ფაქტი ხომ ფაქტად რჩება: სწორედ ისინი გახდნენ ამ სიმღერების „ავტორები“, მოჭადრაკეთა კარგი გუნების მიზეზი, სწორედ ისინი იყვნენ ამ შესანიშნავი ღონისძიების მოთავენი.

ო. ნოზაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ქარელი — გორი.

პოლ რობსონი და ჭადრაკი

ამ რამდენიმე წლის წინათ მოსკოვში, სასტუმრო „სოვეტსკაიაში“ ინტერვიუ ჩამოვართვი გამოჩენილ ამერიკელ მომღერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ზანგთა პროგრესული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს პოლ რობსონს. მაშინ გაზეთ „კომუნისტის“ მოსკოველ კორესპონდენტად ვმუშაობდი და გასაგებია, ჩვენი საუბარი ეხებოდა ძირითადად პოლიტიკას, ხელოვნებას, ზანგთა მოძრაობას, საქართველოში მცხოვრებ ზანგთა გენეალოგიას და სხვა საკითხებს.

სასტუმროს კომფორტაბელურ ნომერში ჭადრაკიც იყო. რობსონმა შემატყო, რომ ჭადრაკმა ჩემი ყურადღება მიიპყრო და განმარტა:

— ეს ჩემი სამგზავრო ჭადრაკია. ფიგურები სპილოს ძვლისაა. ჰარლემში მაჩუქეს ზანგებმა.

— გიყვართ ჭადრაკი, ბატონო პოლ?

— არანაკლებ, ვიდრე სიმღერა.

— რა უფრო გიტაცებთ ჭადრაკში, ბატონო რობსონ?

— ო, ეს რთული საკითხია. მე ხელოვანი ვარ და ჭადრაკში ყველაზე მეტად ხელოვნება მიტაცებს.

რობსონი ცოტა ხანს ჩაფიქრდა, მერე დაუმატა:

— მიხეილ ტალმა ჭადრაკი ნამდვილ თეატრად აქცია. თავისუფალ დროს მის პარტიებს ვარჩევ.

ამ სიტყვებით რობსონმა საჭადრაკო ჟურნალ-გაზეთების დასტაზე მიმითითა, რომელიც მაგიდაზე ეწყო.

—გარდა ამისა, ჭადრაკში მე, როგორც ზანგი, საოცარ სიმბოლიკასაც ვხედავ. ჭადრაკის სამყაროში მეტი სამართლიანობაა, ვიდრე მთელს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ჭადრაკში შავები იმავე უფლებებით სარგებლობენ, რა უფლებებიც თეთრებს აქვთ...

რობსონი ერთხანს ჩაფიქრდა და მერე გაიღიმა:

— თუმცა, ძველი დისკრიმინაციის ნარჩენი აქაც იგრძნობა: მაინც თეთრები იწყებენ, პირველი სვლა მაინც მათია. ერთი სიტყვით, ჩემთვის ჭადრაკი შავების (ზანგების) და თეთრების (თეთრკანიანების) ბრძოლის ისტორიაა, თამაშის ენაზე გადმოცემული.

მე მაოცებდა რობსონის მსჯელობა. აი, თურმე რა სიმბოლიკის დანახვა შეიძლება ჭადრაკის თამაშში...

რობსონს სახეზე კეთილი ღიმილი დასთამაშებდა და განაგრძობდა თავისი ბოხი, მეტისმეტად სასიამოვნო, ხავერდოვანი ხმით:

— მთავარი მაინც ისაა, ჩემო მეგობარო, რომ შავი და თეთრი ფიგურები ჭადრაკის დაფაზე თანასწორუფლებიანი არიან, ამერიკის პრეზიდენტები და კანონმდებლები კი დღემდე ვერ ამაღლდნენ ჭადრაკის თამაშის კოდექსის შემდგენელთა დონემდე. ჭადრაკის მონარქიულ სამეფოში, ვიმეორებ, მეტი დემოკრატიაა, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკაში.

და იმ წუთს მეჩვენებოდა, რომ რობსონის ოთახში ჭადრაკი კი არ იდგა, არამედ ქვემეხი, რომლითაც ყუმბარებს უშენდა თეთრ სახლს ეს ზანგი გოლიათი.

— ჭადრაკში ვისი გულშემატკივარი ხართ, ბატონო რობსონ?

— ჭადრაკშიც, ისევე როგორც მთელს ჩემს ცხოვრებაში, შავების გამარჯვება მახარებს. ყველაზე მეტად ის იშვიათი გამარჯვება მალელვებს, როცა შავი პაიკი აშამათებს თეთრების პრეზიდენტს... ბოდიში, მეფეს!

ორივეს გაგვეცინა.

შევატყვე, რომ უკვე საკუთრივ ჭადრაკზე საუბარი არ სურდა. გადაღლილად მეჩვენა და დავემშვიდობე.

ჩემთვის დაუვიწყარია ეს შეხვედრა პოლ რობსონთან.

ვ. ალფენიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კავგოლოვოს თამაშები"

ამ სურათებზე აღბეჭდილი არიან მოთხილამურეთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის — „კავგოლოვოს თამაშების" მონაწილეები, რომლებმაც გამარჯვებას მიაღწიეს. მარცხენა სურათზე თქვენ ხედავთ 5 კილომეტრზე რბოლაში გამარჯვებულებს — ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელ ხელენა შიკოლოვას (მარცხნივ) და სსრ კავშირის ნაკრების დებიუტანტს, 23 წლის ლიუბოვ მუხაჩოვას. მათი ეს წარმატება სპეციალისტებისთვის მოულოდნელი იყო. ყველას ეგონა, რომ პირველობისთვის ბრძოლა სახელმოხვეჭილ სპორტსმენებს ნ. ფიოდოროვას, გ. კულაკოვას, ა. ოლიუნინასა და ნ. შებალინას შორის გაჩაღდებოდა. მაგრამ აი, შიკოლოვამ და მუხაჩოვამ ეს მანძილი ყველაზე სწრაფად — ერთნაირი მაჩვენებლებით (18.06) დაამთავრეს. III ადგილზე გავიდა შებალინა — 18.16.

იაბლონცელმა მდივანმა-მემანქანემ, 21 წლის შიკოლოვამ 10 კილომეტრზე რბოლაშიც შემოგვთავაზა სიურპრიზი: მან 29 წამით ჩამოიტოვა მსოფლიო ჩემპიონი კულაკოვა და ყველაზე სწრაფად — 36 წუთსა და 12 წამში დაფარა ეს მანძილი.

მარჯვენა სურათზე — 15 კილომეტრზე გამარჯვებული გ. გრიმერი (გდრ) შეჯიბრების დროს. გერმანელის შედეგია 49.19.

ამ დისტანციაზე მეორე იყო მოსკოველი ვ. ტარაკანოვი (49.29), ხოლო მესამე — გდრ-ის წარმომადგენელი ვ. დემელი — 49.38.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ გრიმერი შარშან პირველად მონაწილეობდა „კავგოლოვოს თამაშებში" და მაშინ 15-კილომეტრიან დისტანციაზე რბოლაში დაიკავა... 71-ე ადგილი.

მოულოდნელი შედეგით დამთავრდა 30 კილომეტრზე შეჯიბრებაც. აქ ყველას აჯობა 21 წლის ი. სკობოვმა (კიროვი) — 1:38.04.

კავგოლოვოში „მეგობრობის თასზე" შეჯიბრება გამართეს ბიატლონისტებმა. გაიმარჯვა სსრ კავშირის ნაკრებმა. ასპარეზობის დასკვნით დღეს მსოფლიო ჩემპიონმა ა. ტიხონოვმა (ნოვოსიბირსკი), მისმა თანაქალაქელმა ვ. მამატოვმა, ლენინგრადელმა რ. საფინმა და იჟევსკელმა ა. უშაკოვმა მოიგეს ესტაფეტური რბოლა 4×7,5 კმ-ზე — 2:35.04. II ადგილზე გავიდა გდრ-ის გუნდი.

ორჭიდელთა შორის გაიმარჯვა მაღალ ტატრებში ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა, 23 წლის საბჭოთა სპორტსმენმა ნ. ნოგოვიცინმა — 418,0 ქულა (იგი ხტომების შემდეგ მეხუთე იყო, მაგრამ 15-კილომეტრიანი რბოლა მოიგო — 53.58). II ადგილზეა ზ. ჩერემუხინი (სსრ კავშირი), III — გ. დეკერტი (გდრ).

ა. სტელმახისა („იზვესტია") და ნ. ნაუმენკოვის (საკდენი) ფოტოსურათები.

• KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGAS •

თბილისის სპორტის სასახლის პრიზზე

დღეს ფინალური მატჩია

მრავალრიცხოვანი მაყურებელი ჰყავს ნორჩ ფეხბურთელთა ასპარეზობას თბილისის სპორტის სასახლის პრიზზე. შეჯიბრებაში 18 გუნდი მონაწილეობს, მათ შორის, პირველად — საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტთან არსებული სპეციალიზებული სკოლის კოლექტივი, რომლის მწვრთნელია სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. მესხი.

სპორტის სასახლეში დღეს გაიმართება ამ ტრადიციული ტურნირის ფინალური შეხვედრა. გაგახსენებთ თამაშის დასაწყისს: 18 ს.

• • •

სურათებზე: „იბერიისა" და „ლიახვის" შეხვედრის მომენტი (გაიმარჯვა „ლიახვმა" — 2:0); მ. მესხი თავის აღსაზრდელებთან შეხვედრის დროს.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

მოკლედ

- **ბელგრადი.** ჩამოყალიბდა იუგოსლაველ მწვრთნელთა კავშირი. მის თავმჯდომარედ არჩეულია ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი რ. მიტიჩი.
- **ბუდაპეშტი.** გამოცხადდა უნგრეთის ნაკრების წლიური კალენდარი. 4 აპრილს უნგრელები ვენაში ითამაშებენ ავსტრიის ნაკრებთან, 24 აპრილს მიიღებენ ფრანგებს (ევროპის პირველობა), 1 სექტემბერს აქვე ითამაშებენ იუგოსლაველებთან, 25 სექტემბერს მიიღებენ ბულგარელებს (ევროპის პირველობა), 9 ოქტომბერს საპასუხო მატჩს ითამაშებენ პარიზში საფრანგეთის ნაკრებთან, ხოლო 27 ოქტომბერს ბუდაპეშტში უმასპინძლებენ ნორვეგიელებს (ევროპის პირველობა).
- **ლონდონი.** ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის დისციპლინარულმა კომისიამ ნება დართო ადრე დისკვალიფიცირებულ ჯ. ჩარლტონს კვლავ ითამაშოს ეროვნული ნაკრებისა და თავისი საკლუბო გუნდის საერთაშორისო მატჩებში.

„1970 წლის იდეალური ნაკრები"

შეარჩიეს პრაღის ჟურნალ „გოლის" მკითხველებმა. ამასთან მათ ევროპის ორი ნაკრები შეადგინეს. გადავხედოთ მათს შემადგენლობებს.

პირველი ნაკრები: ბენქსი (ინგლისი), დობიაში (ჩეხოსლოვაკია), შესტერნიოვი (სსრ კავშირი), მური, კუპერი (ორივე — ინგლისი), ბრიმნერი (ჰოლანდია), ბეკენბაუერი, ოვერატი (ორივე — გფრ), ბესტი (ჩრდილოეთ ირლანდია), მიულერი (გფრ), რივა (იტალია).

მეორე ნაკრები: კავაზაშვილი (სსრ კავშირი), ფოგტსი (გფრ), სერა (იტალია), ისრაელი (ჰოლანდია), შნელინგერი (გფრ), ბოლი (ინგლისი), რივერა (იტალია), დუმიტრაკე (რუმინეთი), გრაბოვსკი (გფრ), პ. დუკე (გდრ), ჯაიჩი (იუგოსლავია).

● ●

მსოფლიო ჩემპიონატი ქალთა შორის

ფეხბურთელ ქალთა საერთაშორისო კავშირის კონგრესმა, რომელიც ტურინში გაიმართა, გადაწყვეტილება მიიღო მსოფლიოს მორიგი პირველობა წლეულს მექსიკაში მოეწყოს. 15 მაისამდე უნდა ჩატარდეს შესარჩევი თამაშები, რომლებიც ხუთ ფინალისტს გამოავლენენ. აქედან 4 ევროპული კოლექტივი იქნება, ერთი კი სამხრეთამერიკული. მეექვსე ფინალისტია მასპინძელი ქვეყნის — მექსიკის ნაკრები. ფინალი წრიული სისტემით გათამაშდება.

ფეხბურთელ ქალთა საერთაშორისო ფედერაციამ გადაწყვიტა აწარმოოს მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების ტელეტრანსლაცია ევროპის ქვეყნებისთვის.

● ●

კოფერი უკმაყოფილოა

უნგრეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი კოფერი უკმაყოფილოა შარშანდელი შედეგებით. მან ნაკრებში 13 დებიუტანტი გასინჯა, რომელთა უმეტესობამ იმედები არ გაამართლა. საერთოდ, გუნდის თამაშის დონე საკმაოდ დაბალია და სპეციალისტთა მოთხოვნილებებს არ აკმაყოფილებს. ნაკრების წამყვანი თავდამსხმელი ბენე ფორმაში არაა.

ზოგმა მოთამაშემ მაინც გაუმართლა კოფერს იმედები. „ტატაბანიის" მეკარე როტერმელი კოფერის „სასიამოვნო აღმოჩენაა". გუნდს დაუბრუნდა გამოცდილი ცენტრალური მცველი მესეი („ვაშაში"). კარგ შთაბეჭდილებას სტოვებენ ნახევარმცველები ნოშკო, კონრადი და ვიდაჩი.

● ●

ლ. იაშინის მაისურით

„ატლეტიკოსა" (ბილბაო) და ესპანეთის ნაკრების ცნობილი მეკარე ირიბარი 1964 წლიდან მოყოლებული არ იცვლის მაისურს. ეს მაისური მას აჩუქა ლ. იაშინმა. ირიბარი ამბობს: ამ მაისურში თამაში ძალიან კარგად მაქვს დაცდილი.

ბასკი მეკარე, რომელიც ევროპაში ერთ-ერთ უძლიერესად ითვლება, უკვე კარგა ხანია კონკურენციის გარეშეა ესპანეთში. იცვლებიან ნაკრების მწვრთნელები, იცვლებიან მოთამაშეებიც, მაგრამ ირიბარი კვლავინდებურად არ საჭიროებს შემცვლელს და საიმედოდ თამაშობს.

● ●

ალბერტი — ბრწყინვალე ფორმაში

როგორც უნგრელი მიმომხილველი ვარსეგი იუწყება, მძიმე დაშავებით გამოწვეული ხანგრძლივი პაუზის შემდეგ კვლავ ბრწყინვალედ თამაშობს უნგრეთის ნაკრების ყოფილი კაპიტანი, „ფერენცვაროშის" ცენტრალური თავდამსხმელი ალბერტი. ვარსეგი იმასაც წერს, რომ ასეთ ფორმაში ალბერტი არასოდეს ყოფილა.

უნგრეთში ახლა მიაჩნიათ, რომ დროა ალბერტი ეროვნულ ნაკრებში დააბრუნონ.

● ●

გერმანელთა დიდი ტურნე

როგორც გფრ-ის ფეხბურთის ფედერაციამ გამოაცხადა, წლეულს ეროვნული ნაკრები დიდ ტურნეს ჩაატარებს ლათინურ ამერიკაში. ეს იქნება გერმანელთა მზადების პირველი ეტაპი 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის.

სამხრეთ ამერიკაში გფრ-ის ნაკრები ერთი თვის განმავლობაში 8 მატჩს გამართავს. ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს შეხვედრა მსოფლიოს ჩემპიონებთან — ბრაზილიელებთან. ეს თამაში 18 ივლისს შედგება „მარაკანის" სტადიონზე.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14

უე 05011